გავიდა ცოტა ხანი. ეგნატე ოზურგეთიდან წავიდა, კარგა ხანს არ მინახავს. ერთხელ ლანჩხუთის საღვურზე ვუსტდილი მატარებელს. ამ ლანდინში ეგნატე მოვიდა, დამინახა, გაუკვირდა, მომვარდა, სიხარულით აღივსო და სალამის და მოკითხვის შემდეგ დამიწყო გამოკითხვა წიგნების გავრცელების შესახებ, გურიელზე, სილიბისტროზე, ვისაუბრეთ მის პირველ კორესპოდენტებზე (ცრუმორწმუნება ლანჩხუთიდან) ამ დროს მატარებელიც მოვიდა, მთხოვა ერთი დღით დარჩენა, მარა ვერ დავრჩი და გავშორდი ერთმანეთს. ამის შემდეგ მე ეგნატე დიდხანს აღარ მინახავს..

როგორ უყურებდა კერძოთ ეგნატე და საზოგადოთ ქართველი ინტელიგენცია ეგნატეს ნაწერებს?



3. ქურდები.

გორის სამხარო აღმასკომის თავმჯდომარე, გორის თეატრის გადამკეთებელი და დიდი ხელის მემწეობი, მუშა ხელოსანი, თვითგანვითარებული.

— რომელ ქრისტიანზე მელაპარაკებთ მეტი, ვკითხე?

— „ეგნატეს მოთხრობაზე“-ო, იყო პასუხი...
— ესეც ისე, როგორც „სიმონა“ და „პალასტომის ტბა“—მეთქი მივუყე. ის გაოცებული ნაწყენი დარჩა და მითხრა:

— „სხვათა შორის, ის ადგილი, სადაც ძველზე აქვს საუბარი, ფსიქოლოგიურად შეუძლებელია“.

ერთი სიტყვით ნათლად ვგვრძენი, რომ მეგობარს არ მოსწონდა მეგობრის უკანასკნელი მოთხრობა..

ერთხელ კიდე თ. კიკვიციანი შევეკითხე, როგორ მოგწონს ეგნატეს ნაწერები მეთქი (დაბეჭდილი იყო ამ დროს „მოსე მწერალიც“).

— „ეგნატეს მოთხრობები კოპიოებია, მეტ არაფერია“.

აქ უნდა ითქვას მართალი, ეგნატეს მოთხრობები, თითქმის ყველა, აღებული იყო ნაწილილი მომხდარი ანბალი ფაქტებიდან, ამის თ. კიკვიციანი მართლს ამბობდა; მაგალითად ნაწილილი ანბებიდან იყო დაწერილი „სიმონა“, „მოსე მწერალი“, „ქრისტიანე“, „უცნაური სენი“, „პალასტომის ტბა“ და „გოგია შერეულიც“.

მეორამ მე მაინც ძლიერ მწყინდა, ჩემი ინტელიგენციისგან, რომ ისინი ჩემის აზრის არ იყვნენ. ეგნატეს ნაწერებზე

ეგნატე პხევდა ბევრ თავის ნაწერებს. და ამას თუ მივუღებთ ჩემს წერილზე პასუხს ეგნატემ, ყველასათვის ცხადია, რომ ზოგიერთ ახლანდელი „მოღვაწეების“ და „მწერლების“-ს შეხედულები და აზრის არ იყო ეგნატე, არც თავის თავზე და არც თავის ნაწერებზე. მაგრამ ეგნატეს დიდძალმზოგანობა და ნიჭი სწორეთ ამ მხრით უნდა იყოს დაფასებული...

როგორი იყო ეგნატე, როგორც წინამორბედი და წინასწარმეტყველი?—ამაზე შემდეგ.

ქ. თავართქილაძე.

1891 წ. ზედი-ზედი დაიბეჭდავა. „ივერია“-ში ეგნატეს მოთხრობები: „უცნაური სენი“, „არმოც“, „პალასტომის ტბა“ და 3—4 ფელტონი „სიმონა“-სი. მაშინვე ღია წერილი მივსწერე ეგნატეს: „ძნაო ეგნატე. მე გადავწყვიტე გამოვუტე ცალკე წიგნათ შენი მოთხრობები, თუ პრინციპიალურად ამისი წინააღმდეგი არა ხარ, მაქნობ და პირობების მოსალაპარაკებლად ამოვალ ზესტაფონში შენთან. შენი კოწია თავართქილაძე“.

მესამე დღეს მივიღე ღია წერილი ეგნატესგან, იწერებოდა: „ჩემო კოწია, ძლიერ ვისიამოვნე შენი წერილით... რაც შეეხება ჩემი ნაწერების ცალკე წიგნათ გამოცემას, შენ ზარალის მეტს არას მოვცემს. დიდი შეძლება რომ გქონდეს—კიდე ჰო, დაგეთანხმებოდი. შენ ისეთი წიგნები უნდა გამოსცე, რომელიც ცოტა მაინც მოგებას და გიტოვებს და ჩემი მოთხრობები, ვიმეორებ ზარალის მეტს არაფერს მოვცემს, მით უფრო, ქართველმა მიკრე მკითხველმა ის უკვე წაიკითხა „ივერია“-ში... აი, რისთვის არ გორჩევ და № 3 გეთანხმები მის გამოცემაზე, ჩემო კოწია... შენი ეგნატე“

მე კიდე მივსწერე შემდეგ: „ორ სამ დღეში. ტფილისში მივდივარ, გავლის დროს ზესტაფონში დავრჩები საღამომდის და კიდე ვილაპარაკოთ მეთქი“...

მესამე დღეს მართლა ამოვიღე ზესტაფონს, მივიღე დილომბრიდის კანტორაში, მაგრამ ეგნატე არ დამიხვდა იქ, სამაგიეროთ ეგნატეს აშხანაგების მთელი ჯგუფი იქ იყო, ყველანი წამოვიდით იქიდან, მგონია ვიქტორ დარჩიას ბინაზე, აშხანაგებმა სულელო გამოვალს, პური ჰქვას შევუღიქით. კაპრო ჩხვიძე მეკითხება: „როგორ მოგწონთ გურულებს ეგნატეს მოთხრობები“-ო, მე მივუყე: მე და ჩემს მკითხველებს ძლიერ მოგვწონს მეთქი.— „უცნაური სენი“-ს სიტუეტის აღება მწერლისგან, ჩემის აზრით, ნაადრეველია“...

ერთხელ, როცა „ქრისტიანე“ დაიბეჭდა, სამტრედიისი მომიხდა მატარებლით გავლა. საღვურზე პეტრე გლევიშვილი ვნახე და იმანაც მითხრა: როგორ მოგწონა „ქრისტიანე“?



ქართული ლიტერატურა

(„მთაბი“ № 2 ლ. ქიხელი. 1. მოთხრობები-ნოველები ესკიზები. 2. ად. ჯავახიშვილი. მოთხრობები. 1 წიგნი).

(ქოთხელის შენიშვნები).

პირველ გამოცემასთან შედარებით „მთაბი“ მეორე ნომერი გაცილებით უკეთეს შთაბეჭდლებას სტოვებს. მეთხველის განსაკუთრებული ყურადღებას იქცევს მისი ლამაზი ასახვა და ამ მხრივ რედაქციას მოუხერხებია სრული მიღწევა.

უერთნაღის სამხატვრო-სალიტერატურო ნაწილი მრავალ-ფეროვანი და შინაარსიანი. ზედმიტარდ აღიარება თითქმის არც ერთი ნაწარმოების არ შეიძლება, გარდა პირველი გამოცემიდან სამემკვიდროდ დარჩენილი უკვე ნაცნობ „შოკოლადისა“- ამ მოთხრობის მთავარი გმირი—ზუდინი იმის შემდეგ, რაც მან დახვრიტა „ასეული უღანაშაულო მოქალაქე ამხანაგ კაცმანის მკვლელობის საპასუხოდ“ ან, როგორც თვითონ ამბობს, „დავარტყე პირდაპირ კლასს, მე მოვსებე, რომელიც შემხვდა მთიარეებში, არც მეტი, არც ნაკლები“, თვითონაც გაემა ხელოვნურად აწყობილ მახეში და ზუდინსაც, სრულებით უღანაშაულოს, დახვრიტა გადაუწყვიტეს. მოსამართლე ეუბნება ზუდინს: „შენ არავითარი დანაშაული არ გაქვს. მეორე მხრიდან შეხვედ საკითხს და არც ასე დატოვება შეიძლება. უსათუოდ რაღაც უნდა მოხდეს, თორემ ჩვენი საქმე დაიღუბებაო“ ამისათვის ზუდინიც უნდა დაიხვიტოს. (გვ. 143-144) მთელი „ღრმა“ და ავთიმუფური ინტელიგენტური მსჯელობა, რომელსაც ადგილი აქვს მოთხრობის ბოლოში, სრულ უაზრობას წარმოადგენს, რამდენადაც ის ნასესხებია ადგილ-ადგილ დაქობილი დოსტოევსკის ნაწარმოებებიდან. ამ შემთხვევაში უღანაშაულო მუშა, ჩეკისტი ზუდინი, ბრბოს ალტკიუნებს მსხვერპლად უნდა შეეწიროს—ასე მსჯელობს ბატონი როდონოვის ვითომ და შეგნებულ მოსამართლეს. „დაამიანის პიროვნება საშუალებაა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ის უნდა გახდეს თვით მიზანი“—ასეთ მიზანს ისახავს მოწინავე მუშა, რადგანაც ამაშია მისი კლასის ისტორიული მისია. მაგრამ კმარა „შოკოლადზედ“!

ორიოდ სიტყვა ადამაშვილი-ჯავახიშვილის „დაზღვევაზედ“. ავტორმა ბოლო დროს თავისი მოთხრობების კრებული გამოუშვა, სადაც საქმაოდ სუსტ ნაწარმოებებს შეხვდებით. ეს არ ითქმის „დაზღვევაზედ“. მისი გმირი—კვაქი წყარბორამქ ქართული ერის ერთი ბატონა ჯგუფის წარმომადგენელია. ამ ჯგუფს ის სასენებით გამოხატავს. ბატონმა ჯავახიშვილმა მეორე ეტრული „კავკასიონის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსა, იქ მისი ტყის კაცები, ასე ვთქვათ, უფრო ინტერნაციონალურია. ის შეიძლება დაბეჭდილიყო სომხურად, უკრაინულად, რუსულად—ამით არაფერი დააკლებდა. „დაზღვევა“ კი ქართულ მიწა-წყალზედ არის აღმოცენებული. შეიძლება მკითხველმა იკითხოს: რეგიონალური-ციონურია, თუ კონტრ-რეგიონალური-ციონური ეს ეტიუდი? მე კატეგორიულად უპასუხებ: არც ერთი და არც მეორე. კვაქი ფორტოგრაფიული სურათია, „პორ-

ტრეტია“ ერთი წყება ადამიანების. სისხლის სამართლის მილიციის უფროსს ეს სურათი თავის ფარულ აგენტებს რომ დაუჩიროს და კვაქანტრადის დაბატონრება მოთხოვოს, საქართველოს დაბა სოფლებში რამოდენიმე ათეულ პირებს დააპატიმრებენ, ისე გვანან ეს პირები ერთმანეთს. სანტრეფსოა ვიცოდეთ, თუ რას შვრება დღეს კვაქი? ახე-პიტი, რომელიც დაწესებულების კომერციული აგენტი, თუ რამე უფრო დიდი გამოსახენი თანამდებობა უქირაავს? ის ხომ შეგუების ისტატია!

მშენიანია ემილ ვერჰარნის ცნობილი ლექსის „მკვდელის“ თარგმანი მე ვერჩევილ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდაობას, რომ ეს ლექსი არამც თუ გადაკითხონ ხშირად, არამედ ზეპირადაც დაისწავლონ. ჩვენი დროის ახალგაზრდობა ევროპეის ლექსებს ზეპირად ხშირად იმეორებდა: „მეგობრებო, წინ, წინ გასწიეთ, ნუ შედრკება თქვენი გულიო“ და სხ. ასეთივე ბედი უნდა ეწვიოს საქართველოში ბელგიელ სოციალისტის ამ ცნობილ ლექსს, სადაც შემდეგი მარჯობატებია:

„და ფრტყამს უროს, ფრტყამს მკვდელი ვით ქარავანი განუწყვეტელი მიყვება უკან წელიწადს წელი. შეურისძებებით, ტანჯავით, ტკივილით და საუკუნო წყევის კვილით, მან თავის ქურა გაავსო მწველი, მან ჩააქია თავის ქურაში“ „ზოხი, ნადლევი, ზღვა მღელვარება, რომ მისცეს იმით მზის ელვარება და ფოლადის ხმა ცეცხლის ბურანი“...

არ დამუშავდა კოთხხველს, რომ მსოფლიო იმის დროს, როდესაც ლიუდენბორგების ქუსლგები თელავდა ბელგიას, პოეტუ ვერჰარნი აღზნებულ სიტყვებით წყევვა-კრულვას უზახენიდა მისი ქვეყნის ჯალათებს. მისი ბუნება სხვა ნაირად ვერ მოიქცეოდა. ბერეს სრულებით არ მოსწონდა მისი აწეული პატრიოტიზმი, მაგრამ ვინ მისცემდა თავის თავს ნებას, რომ მუქართი მიემართა ვერჰარნისთვის და იძულებული გახებდა ემოერა არა ბელგიის გასაქპირი, არამედ ციმერკლდის იმედები. ასეთ რამეს იკადრებს ვინმე პიუ-პიუ და დამორჩილებს ტრედაიკოვებს, მაგრამ არა ვერჰარნს და ჰენდს, რომელსაც მაქსიმ ასეთი თევაზობუდებით იცავდა, მიუხედავად პოეტის უსწავლო აბრუნებისა.

ამ უკანასკნელ დღევში გამოვიდა „ლეო ქიაჩელის მოთხრობები-ნოველები—ესკიზები“. ჩვენ არ დავიწყებთ, რომ ლ. ქიაჩელი არის ავტორი „ტარიელ გოლუასი“, რომელიც ყველა მოწინავე მშრომელისთვის 1905 წლის სასამოეწო მოგონებსა გაიმოხატავს. თითქმის ოცი წელიწადი გაიდა ხალხური მოძრაობის შემდეგ და „ტარიელ გოლუას“ უკეთესი არაფერი გვაქვს... თუ როგორი ისტატურად ხატავს ავტორის კალამი რეალურ სურათებს, კრებულის შემდეგი ნიმუშებიან სჩანს:

„მინდის კომბოლით ხელში და მეფერი გამომეტყველებით სახეზედ დაბრძანდება ტყვე გავლილ

მინდორში. იგი მენახირედ ყავს სოფელს დაქირავე-
ბული და სხვა რამ საქმე არც ემარჯვენა...

არ არის ისეთი არც ძროხა, არც მოზვერი და
დეკულო, რომ ტაფუგან სახელი არ ჰქონდეს დარ-
ქმული. ეს კი მოსწონს ნახირს, მოსწონს ისიც, რომ
ტაფუ სხვა წყნსებს არა ვაგს, რომლებიც კულში
დასდევენ პირუტყვებს და მოსვენებას არ აძლევენ,
ერეკებიან უწყსრიგოდ ხან აქეთ, ხან იქით და თვი-
ონიაც იღლებიან და ქვეყანასაც აწუხებენ⁴. სურა-
თი სრულია, არც ერთი მეტი სიტყვა ეს დიდი მილ-
წვივა და ავტორს საერთოდ ახასიათებს. კრებულში
მოთავსებულია მშვენიერი სურათი: მუხა და ტირი-
ფი. თუ არ ვცდებით, ავტორს სიუჟეტი აღებულ
აქვს რეალური ბუნების მოცულებიდან—შორეულ
შვეიცარიაში. ამ პატარა სურათში მოცემულია ცხოვ-
რების მთელი შინაარსი და, თუ გენებათ, ისტორი-
ის ფილოსოფიაც ნახევრად რეალისტრად გავებუ-
ლი. სწორედ ლეო ქიჩინელის ეს ესკიზი გამახსენდა,
როდესაც ს. კაკაბაძის წერილს ვკითხულობდი უფ-
ნალ „მნათობში“. კაკაბაძე სწერს საქართველოს
ეკონომიურს ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში.
ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ვითარების ისტორია იმ-
დენად ლაზიბია, რომ ამ დარგში ყოველი წვლილის
შემტანი უდიდესი მაღლობის ღირსია, არის ზოგი-
ერთი დებულებები, კაკაბაძის მიერ წამოყენებული,
რომელიც ახსნა-განმარტებას თხოვობიან. მე სა-
ქიროდ მიმანია აღწინაშე ერთი ბუნდოვანად გა-
მოთქმული დებულება. ს. კაკაბაძეს ჰკონია, რომ მე-18
საუკუნის ეკონომიურა ურთი ერთობა რუსეთთან
ერთიან როლს თამაშობდა ამ ორი ქვეყნისა შერე-
თებაში. ის სწერს: „მეორე მხრივ იდგა კავკასიონ-
ის ქედის თითქმის კარზედ მომდგარი რუსეთი,
ძლიერი როგორც ეკონომიურად, ისე სახუნდრო
ფელსაზროსით. კულტურული და პოლიტიკური ხა-
სიათის სიმპატეები ქართველებს უკვე კარგა ხანია
აერთებდა რუსეთთან... საუფუძველი ამ გადატეხას
ქართველი ხალხის ცხოვრებაში ჩაუყარა მე-1740
წლებში რუსეთისკენ ახალი ეკონომიური გზების
წარმოჩენამ, რომელმაც ნელ-ნელა ხელი შეუწყო
რუსეთსა და საქართველოს შორის მტკიცე ურთი-
ერთობის დამყარებას“ (გვ. 237—238). თითქმის
ქლიაელის მუხა და ტირიფიფი თუ ორი პოლიტიკუ-
რი არსება შეყვარებულნი იყვნენ⁵ და ერთმანეთის-
კენ მიიღვრდნენ. ეს არის შემდეგი ხანის განცდის
გადამტ. მე-18 საუკუნეში. რუსეთთან შედრტიკუ-
რი მიზეზი ერთ პოეტს უფრო მოსდენილიდ აქვს და-
სურათებული:

„ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა,
მე ეგ ყოველი არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღებთა თვის ქართლის,
რა მოვიგვიარო უმჯობეს ამის?...“

(წ. პარათაშვილი გვ. 78—79)

მატერიალისტურ შეხედულებას თავი და და-
ვანებოთ „რევოლიუციურ ინტელიგენციას“ არ უნ-
და სჭიროდეს რომელიმე მიზანშეწონილ ისტორიულ
მოქმედების ახსნა ყოველთვის „ვაჭრებისაგან
ბაჟების აღებით“.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ქორე-
ლის წერილს თეატრზედ. ხალხისწორი შეხედულება
აქ სასენებოთ არის გატარებული. ის გამოდგება სა-
ხალხო სცენის მოყვარეთა სახელმძღვანელოდ.

ურხანლის ბიბლიოგრაფიაც ნაწილში საინტე-
რესოა დ. გ.ს წერილი, რომელიც ზოგიერთ ბიბ-
ლიოგრაფიებს სანიშნოდ გამოადგებათ.

„მნათობს“ აკლია პროლეტარულ მწერლებს⁶ ნა-
წარმოებები. ანუ დაკარგავ ძველს გზასა. ნურაც
ძველსა მეგობარსა⁷ ნათქვამია.

ბიკტორ თევზაია



არტაშა (ა. ევანიანი)

სრულებით ახალგაზრდა მსახიობი, მწერალი,
რეჟისორი. სცენაზე მუშაობს 10 წელშიწადია განსა-
კუთრებით მონაწილეობს ოპერა—ოპერეტკებში.

ღერის რუსულ, ქართულ, სომხურ, სპარსულ,
თათრულ და ებრაულ ენებზე. როგორც მწერალი
აქვს საკუთარი პიესები: 1. „მუშის გასამართლება“
2. „დაარ მირზა“ 3. „შახ ისმაილ“ და სხვ.

ამ ეხმად ის მუშაობს თვითმშრომელთა და
ავლაბრის მუშათა კლუბში.

გ.რ. შავიფილი.

ვახტანგ გგედლიშვილის ხსოვნას

(სურათი იხ. „თ. და ც.“ № 11,—14)

მოსკოვის სამხატვრო თეატრის ცნობილი რე-
ჟისორი და ქართული დრამატული სტუდიის და-
მმართველ-ხელმძღვანელი ვახტანგ გგედლიშვილი,
რომელიც მაისის 19 უეცრად გარდაიცვალა მოს-
კოვში გულის სიგანიერით, ჯერ კიდევ ახალგაზრდა,



სიციცხლით სახე კაცი იყო; დაიბადა ბათუმში 1884 წ. ქართველ კათოლიკეთი ოჯახში. მამა მისი, ლევან, იყო იმ დროს ბათუმში კარგათ ცნობილი საქმის კაცი, რომელიც განირჩეოდა ჩვეულებრივ დანიშნავან ტემპერამენტით და ქართული საქვეებისადმი სიყვარულით. საშუალო განათლება ვახტანგმა მაილო ბათუმის გიმნაზიაში; უკვე მოწაფეობის დროს დაეტყო მას თეატრით განსაკუთრებული გატაცება: სდგამდა ხშირად თავის ამხანაგების მონაწილეობით წარმოდგენებს, თითონაც თამაშობდა (ერთხელ თუ ორხელ ადგილობრივ თეატრში ფარულად ნამდვილ მსახიობებთანაც კი გამოვიდა სცენაზე). გიმნაზიაში ყოფნის დროს სცემდა აგრძევე მოწაფეთა სალიბრეტორო ყურნალს და საზოგადოდ იყო მეტის მეტად ცნობის მოყვარე და ცოცხალი ყმაწვილი. გიმნაზიის დასრულების შემდეგ შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტი, ერთი წლის შემდეგ, დაახლ. 1905—6 წ. სახელოვან აღსუმბათაშვილის შემწეობით მოსკოვის სამხატვრო თეატრში. აქედან იწყება მისი სისტემატიური, ხანგაძლიერ მეცადინეობა თეატრალურ ასპარეზზე, რის შემდეგ ის სამხატვრო თეატრს არ მოშორებია. ბოლო წლებში იგი შეიქნა სამხატვრო თეატრთან არსებულ მეორე სტუდიის ხელმძღვანელად და რეჟისორად, დადაგა რამდენიმე ჰესსა. მისმა დადგამად ისორით მოწონება გამოიწვია; ვასულ წელს—მიწვეულ იქნა ცნობილ „მცირე თეატრის“ რეჟისორად. ვასულსავე წელს დაარსა მოსკოვში ქართული დრამატული სტუდია, რომლის ხელმძღვანელი უკანასკნელ წუთამდე იყო და რომლითაც ის ფიქრობდა საქართველოში ჩამოსვლას და მიღეაწეობას.

დიდი სიმპატიების აღმძვრელი იყო განსვენებული, როგორც აღნიშნა: დინჯი, თავმდაბალი საუკეთესო ამხანაგი და მეგობარი. თავისი ბუნებრივი უბრალოებით და გულწრფელობით ის ჩვენ სინამდვილეში პირდაპირ იშვით მოვლენას წარმოადგენდა: ახლა ასე ვავრცელებულ მეტირობაბაქი-ბუჭობისა და ცრუ პათოსისა მას სრულიად არა ეცხო რა. იქნებ საცირველიც იყოს, რომ თეატრთან ასე შეზრდილი პირი ცხოვრებამი ყოველივე თეატრლობას მოკლესული იყო.

თუ ვახტანგ მჭედლიშვილის დანაკლისი საგრძნობია შემოქმედებით ძალეებით მიდარა რუსულ სცენისათვის, სადაც განსვენებული ამდენხანს რუწყოლა და სადაც მას, როგორც ნიჭირი რეჟისორს, შესაფერი ფასიც ჰქონდა, ასეთ ძალეებს თითქმის სავსებით მოკლებულ ქართული თეატრისათვის მისი ასე უბრალო დაკარგვა პირდაპირ ვანუზომელი დანაკლისია და დღეს და ახლა მომავალში შეუცვლებელი. ქართულმა თეატრმა დაკარგა მასში ნიჭიერი, ევროპული მასშტაბით განათლებული ხელმძღვანელი, უდარესად ვაჭერთინილი და უთუოდ პირველხარისხოვანი საეტი. მართალია, ვახტანგ მჭედლიშვილს არ დასცალდა გადმოეტანა თავისი მოღეაწეობის ასპარეზი თვით საქართველოში და მით ქართული თეატრის განვითარებისათვის წაუშლელი დიდი დაწინა, მართალია მან სხვა და სხვა მიზეზ-

თა გამო ვერ მოასწრო დიდი ე. ალექსი-მესხიშვილის იმედების გამართლება (რუსეთიდან საქართველოში უკანასკნელად დაბრუნებისას თვალცრემლიანმა მესხიშვილმა, ნახა რა ჩვენი თეატრის უმწეო მდგომარობა, ვახტანგის თანამშრომელთან ინტერვიუს დროს გამოსტევა აზრი, რომ აუცილებლად საჭიროა ქართული თეატრის ხსნისათვის ე. მჭედლიშვილის მოსკოვიდან გამოწვევა), მაგრამ მჭედლიშვილის თაისნობით და ხელმძღვანელობით გასულ წელს მოსკოვში ქართული დრამატული სტუდიის დაარსება, უკანასკნელ წლებში მისი ტვილისში ხშირად ჩამოსვლა და ბევრი სხვა რამ ცხადდა მოწმობდა, რომ მალე, ძლიერ მალე ვახტანგ მჭედლიშვილი სასეებით დასტურდებოდა მშობლიურ კერის და თავის ნიუს, ცოდნას, ენერჯიას ქართულ მეღპოქმენას სამსხვერპლოზე მიიტანდა.

და მით უფრო საწმუხარი და სავალალოა, რომ უღმობილმა სიკვდილმა ასე სასტიკად გამოგვტია ხელად ახალსაქმედური სწრაფებით სავსე და მომავალში მრავალ მცადლებლობათა შემცველი დაუფიქვარი ვახტანგ მჭედლიშვილი. საუკუნოდ იყოს ხუნება მისი.

28. V. 24 წ.

შილდერის საღამოზე.



მისის 28 ტელიისი გერმანულ რეალ გიმნაზიის ქართველ მოწაფეთა მიერ შილდერის „ყაჩაღების“ დადგმის გამო. რეჟისორი გიმნაზიის მასწავლებელი ფრიდრიხ ბუშჰაუერი (*) და მოწაფენი: კარლ მოორი—გ. დიდა, ფრანც მოორი—დავ. მიმინაიშვილი, ამალია—ელ. გეორგობანი, მოხუცი მოორი—ა. დოლუხანივი, შპიკლეზი—ელ. სიხარულიძე, როლერი—შოთა დედაბრიშვილი, რაცემანი—რევაზ მონასელიძე, შვიციკრი—შ. ჩიტოშვილი, სუფლიორი—თამ. ვარაზაშვილი.

დიდად საინტერესო საღამო გამართა ტვილისის მჭედლიშვილის რეალ-გიმნაზია გასულ ოთხშაბათს, 28 მაისს, შილდერის პატეცსაცემლად. სასტუმრო „ნოე“-ს საკაოდ დიდი საკონცერტო დარბაზი უკვე 8 საათზე სახე იყო ხალხით, რომელიც შესდგებოდა უმთავრესად: დასახე-



ლებულ გინწახის მოწაფეებისაგან და მისწავლებულიაგან, ადგილობრივ მრავალრიცხოვან გერმანულ კოლონიის წარმომადგენლებისაგან და მოწაფეთა მშობლებისაგან.

შილერის რამოდენიმე ბალადის გერმანულად წაკითხვისა და შილერის სიტყვებზე შედგენილ რამოდენიმე სიმღერის ხორის მიერ ასრულების შემდეგ წარმოდგენილ იქნა გერმანულ ენაზედ „ყაჩაღების“ პირველი აქტი სამ სურათად. როლები განაწილებული იყო მხოლოდ მოწაფეთა შორის. მონაშენით თითქმის ყველა ქართველი ეროვნებისა იყო. ვასაგებია, რომ ეს გარემოება, უცხო ეროვნების მოწაფეთა მიერ აქ, ტვილისში, გერმანულ ენაზე პიესის დადგმა—იწყვედა საერთოდ მთავარ ინტერესს. და უნდა აღინიშნოს სიამოვნებით და სიხარულით, რომ მოწაფეებმა ყოველგვარი დაბრუნლება გადალაგეს და ენის მხრივ მათი გამარჯვება ცხადი იყო: კარგი გამოთქმა, სცენაზე თავისუფლად, გაბედულად თავის დატყრა და სხვა წათვლად მოწმობდა; რომ გერმანული ენა მათთვის უკვე უცხო არ არის, რომ მათ ამ ენის სული საცემით შეუთვისებიათ.

წარმოდგენის გათავების შემდეგ მოწაფეებმა სცენაზე გამოიყვანეს ამ პიესის დამდგმელი, გინწახის მისწავლებელი ფრიდრიხ ბაუმჰაუერი, რომელსაც დიდი ოვაციებით შეხვდა როგორც მადლიერი მოწაფეები, ისე დამსწერ საზოგადოებაც...

საზოგადოდ ამ საღამომ ყოველ მხრივ საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა: საუცხოოვო გარეგანი წესრიგი, რომელიც სუფევდა დარბაზში, სრულყოფილი არ უშლიდა ხელს ახალგაზრდობის მაჯის ცემის გამოაშკარაებას, საერთოდ ყველაფერი წვრილმანი, რომელიც კი ადასტურებდა ამ მისწავლებლის მიღწევებს.

დიდი მადლობის ღირსია გინწახის დირექტორი ინე. იეკელი და ეველა მისი ზანგარო თანამშრომლები ასეთ შინაარსიან საღამოების გამართვისათვის და ვუსურვოთ მომავალში ყოველგვარი წარმატება.

R.

დაგასოფლის თეატრი

ქვიშეთის თეატრი

სოფ. ქვიშეთის წარსული ზაფხულიდან უკვე თავისი თეატრი აქვს. მათაოლია მას ჯერ კიდევ ბევრი აკლია, მაგრამ უმთავრესი: დარბაზი და სცენა მოწყობილია და წარმოდგენებიც იმართება.

ქვიშეთის მცხოვრებლები ჩვეულებრივ იყვენ წარმოდგენებს ჯერ კიდევ 70-ნი წლებში, ზაფხულობით. მონაწილენი იყვენ კ. ყიფიანსა და მის და ელენესთან ერთად მიხ. ყიფიანი, მარიამ ყიფიანი—ქართველიშვილისა, ექიმი ნ. ხუდადოვი, რომან ფილენიშვილი, ბაბო ავალიშვილი, ბაბო კორინაძე და სხვ. 1895 წლიდან მოთავე და უჯრები ამ წარმოდგენების, იყო განსვენებული კოტე ყიფიანის ოჯახი. ზაფხულობით ადგილობრივი ძალების თავის მიყრით და თბილისიდან რიგ-რიგად მოწვეული საუკეთესო არტისტების მონაწილეობით (ე აბა-

შიძე, კ. მესხა, ვ. გუნია, ნ. გაბუნია—(ავარობი, ქ ჩერქეზიშვილი და სხვ.) იმართებოდა წარმოდგენები ქვიშეთისა და მის ახლო-მახლო დაბა-სოფლებში (სურამი, ხაშური, გომი, ქარელი და სხვ.).

ადგილობრივ ძალებს შეადგენდნენ: სვ. ყიფიანი, ალ. ციმაკურიძე, ლევ. ივ. ყიფიანი, მაიკო ციმაკურიძე, ლევ. ციმაკურიძე, ალ. თურქესტანიშვილი, ქრ. ქიქნაძე, კოწია ჯაფარიძე, ილ. ყიფიანი. ეს იყო ეგრევე წოდებული „ქვიშეთის ტრუპა“ *

წარმოდგენები ხან და ხან საკონცერტო განყოფილებით იმართებოდა. აქ მონაწილეობდნენ ვ. სარაჯიშვილი, ილ. აბაშიძე, მ. ძნელაძისა და სხვ. წარმოდგენები იდგმებოდა ხან კერძო სახლებში, ხან საბჭელში, ხან მისწავლებელში, ხან ჰაერზე გარეთ.

ბესიქიანი მზადდებოდა კ. ყიფიანის ოჯახში. მთელი დღეები უნდებოდა რეპეტიციებს ან ოთახებში, ან ბაღში, მშვენიერი ბუნების კალთებზე. აქედან მიდიოდა დ.სი რომელსავე დაბა-სოფელში, სადაც დაქირავებული იყო შერნაბა წარმოდგენის გასამართავად, რასაც დიდი ვაი-ვაგაბი სჭირდებოდა სცენის მოსაწყობად ბქეთ-იქიდან ავეჯის მიტან-მოტანის გამო.

სოფელში გამართულ წარმოდგენაზე ასობით ესრებოდნენ სხვა სოფლებიდან ურემებით და ეტლებით ჩამოსულები.

წარმოდგენა ყოველთვის . ტრადიციული ვახშმით გვირგვინდებოდა, რა დროსაც წარმოიქმნებოდა სიტყვები, რომელთა შორის არა ერთი და ორი ყოველთა მნიშვნელოვანი თვისის შინაარსით, რამდენადაც ის მოახერხებდა და გამოსთქვამდა საერთო გულის ნაღებს. ამ ვახშმებს ერთგვარი ყრილობის ხასიათი ეძლეოდა, სადაც სოფლის მდაბიოთ აღზრდილი ხალხი, ქალაქებიდან მისულ ინტელიგენტკაცს შეხვდებოდა და ერთი მეორეს გულის ნაღებს უზიარებდა.

მიზარული დროს გიტარება, შეგვიბრებული სიმღერითა და ცეკვით, რომლის დასახლისად დაუვიწყარი მაკინე ამირჯიბისა იყო ხოლმე, მატარებლის მოსვლამდე გრძელდებოდა.

ამ გვარად ყოველ ზაფხულს რამდენიმე წლის განამელობაში მუშაობდა ეს ტრუპა.

წარმოდგენებს მეტ წაწილად მილა-წოდებდა ესრებოდა, მშრომელი ხალხი-კი უფრო მოსაძებნად გასართობად იჩნდებდა.

— რა გქნა, შენი ჰირომე, ხომ იცი ძალიან პატრესა გეტე, როგორ დაგზარდებოდი მოსკლას, მაგრამ არა მცალიან დღეს და შენც ნუ დამემდურები.

— ცხენზე შემჯდარი ერთ-ერთი ყ. ნი უფლის ხალხს სოფელში, რომ წარმოდგენაზე მოვიდნენ და

*) მოთავე ამ ტრუპისა იყო ნინო ბეგან ტატიშვილის ასული ყიფიანისა. მის ზაჯანზე იმართდნენ ტფილისის შხაბიონი და აფგ. სცენისმოყრულები; ნინო დადიან დაბა-სოფლებში, ქიარაბადა შერნაბას, შოთაბადა ავეჯს და განაზღვრულ დასს გაიწვევდა ხოლმე პიესებს დასაფხვლად, თითოდაც მონაწილეობდა სცენაზე, როგორც სცენის მოყვარე ხოლო როცა როლი არა ჰქონდა, მოკარნახვებდა.



აი ამ ბოდიშით უპასუხებს მას რომელიმე გლეხთა-გან.

წარმოდგენების მიზანი ყოველთვის იყო სა-ქველმოქმედო. შემოსავალი ეძლეოდა ხან „წერა-კითხვის საზოგადოებას“, ხან სტუდენტობას, ხან რომელიმე მოწვევს და სხ.

ბოლოს სურაშში რამდენიმე ინტელიგენტის ინიციატივით დაარსდა დრამატული საზოგადოება, რომელმაც მოჰქიდა ხელი პროცინკოში წარმოდგენების მართვას და ქვიშხეთის ტრუპაც დაიშალა.

წელს-კი ქვიშხეთის კომუნისტური პარტიის უჯრედმა წამოაყენა საკითხი მუდმივი თეატრის გა-მართვის შესახებ და დარბაზის მოსაწყობად დი-ნიწანა სემბათაშვილის სახლი. უჯრედის წევრები ენერგიულად შეუდგნენ საქმეს. ამავე დროს დაარ-სეს დრამატული წრე და ამირჩიის გამგეობა. გამგეობაში შევიდა ქვიშხეთში მცხოვრები რამდენიმე ინტელიგენტიც.

სულ მოკლე ხანში დასრულდა სადურგლო საქმე დარბაზისა და სცენისა და ჯერის მიღვა სამ-ხატვროზე. იქ მიჰმართეს დახმარებისთვის ხელო-ვნათა კავშირზე გადასულ კოტე ყიფიანის სახლში ოსულ ხელოვანთა. მხატვარმა ირ. თოიძემ დაუ-

ხატა მშვენიერი ფარდა. მ. თოიძემ და ალ. ციმაკე-რიძემ—დეკორაციები. გაიმართა კოხტა სცენა და საკმაოდ ფართე დარბაზი. თეატრი გაიხსნა გასუ-ლი წლის 11 ავგუსტოს.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. ამი-სათვის სცხეთი შემოვლა აღარაივის დასკრებია თითონ ხალხი მოუთმენლად მოელოდა წარმოდგე-ნის ახალ თეატრში და აღტაცებულად დიშშლა, როგორც სცენის ხელოთ, ისე სადღესასწაულო ელფერთ ცემართული წარმოდგენით.

მასუქან ორი თვის განმავლობაში მართავდა წარმოდგენებს გამგეობა, საავარაკით მოსული ინტელიგენტებს მონაწილეობით და ხალხიც სუ-ველთვის ბეჭი ესწრებოდა და ცმაყოფილი რჩებო-და წარმოდგენით. მაგრამ საუბედუროდ თეატრს არა აქვს რეკვიზიტი და ავეჯი, ურომლისობაც აბრკოლებს საქმეს.

გამგეობას კი საჭირო თანხა არა აქვს არც რეკვიზიტისთვის და არც სხვა საჭირო ხარჯისათ-ვის თეატრის ნაკოს შესაცემად.

ასეთ შემთხვევაში თუ მთავრობა არ დაეხმ-არა, თეატრი ვერ იარსებებს.

ნილო ყიფიანი.

ქართული „ია“ სომხური „იანც“*)

სომხური გვარის ბოლოვდება სიტყვით „იანც“, რიაცა ნიშნავ შვილს, ძეს; სოგომან; კირაკოზიან, ჰილონისან; მიკირტუმიანც, კახარიანც; ამბარბიანც და სხვ. ეს სიტყვა „იან“ ანუ „იანც“ წარმოსდგება ქართული წყაროსაგან. ყველა ერების გვარები ბო-ლოვდებიან სიტყვით „შვილი“. იტალიური გვარე-ბი ბოლოვდებიან „ჩი“-ით: ლონტი, ჟენტი, ჯი-ბუტი და სხვ. გერმანული გვარები—„ერ“-ით: ზინგერ, ხიმერ, მაუსერ და სხვ. რუსული გვარები— „ოვ“-ით: პეტროვ, პავლოვ, ბარანოვ. ვორობიოვ, პეტროვ და სხვ. თათრული გვარები—„ოლი“-თ: ხასანოლი, ხუსეინოლი, დუსუნოლი, დევრიშ-ოლი და სხვ. ქართული გვარების დაბოლოებებს სამმა სინონიმმა აქვს: შვილი, ძე და ია. „ია“ სინო-ნიმი „შვილი“-სა და „ძე“-სი. ა) ფოცნიშვილი, ირემაშვილი, ზალიშვილი, ბ) გვარამაძე, გორდე-ლიაძე, კვაჭაძე, გ) კვიციქელია, გაბუნია ქორდანი, ფიფია, ცხაკაია. „შვილი“-ს ანუ „ძე“-ს სინონიმით „ია“-თი მიგრული გვარები ბოლოვდებიან უმთა-ვრესად. სიტყვა „ია“ წარმოებულია მიგრული სი-ტყვიდან „სკუა“. „სკუა“-საგან წარმოსდგება მე-გრულიასვე გვარის დაბოლოება „უა“ უკანასკნე-ლისაგან წარმოსდგა შემცირებული დაბოლოება „ია“ და ვანგრელებული სიტყვა „ია“. რაყუა, სტრუა, გოხუა, ჭოჭუა, გაბედავა, ქაქარაია, კაქარაია, კა-ვა; ოდიშორია, ძეგობია, ხეტიბა. ჯავახია—ჯავახი-შვილი. დემურია—დემურაშვილი. კალანდია—კალან-დაძე, ჯაბუა—ჯაბაშვილი. ბერაია—ბერიძე, ბერა-

ძე. ბერიშვილი. თოდრია—თოდრიაძე. მესხია—მეს ხიშვილი. ასე, ქართული ძე და შვილი, მიგრუ-ლი—სკუა. სკუა=უა=ია=ია.

რომ ეს ასეა, ამისი საბუდეველი ქართ. ხალ-ხურ სიტყვიერებაშიაც მოიპოვება. სახელდობრ: განსვენებულმა შედაჯოგმა ი. გოგებაშვილმა ქარ-თლში ამოსწერა ერთი ხალხური ლექსი სახელმძღვა-რელოში შესატანად: თხა და ენახი. ქართლურ ორიგინალში ამ ლექსის ყოველი ხანა იწყება: „ია, ენახით“. „ია, ენახით ენახით...“ „ია, ენა-ხით თხა...“ „ია, ენახით მეგლი“ და სხვ. ამ „ია“-ს მნიშვნელობა პარ-ცემულმა შედაჯოგმა ვერ გაიგო, ამოშალს ეს სიტყვა პოპულარიზაციისათვის მს-ალაგას დასვა სიტყვა „მოლი“. „მოლი, ენახით ენ-ნახი...“ „მოლი, ენახით თხა...“ და სხვ. ამ ლექსის ხალხური რედაქციის სინონიმით რომ ენახით, მა-შინ გამოვა შემდეგი: „შვილი, ენახით ენახი“... „შვილი, ენახით თხა“ და სხვ.

კიდევ ერთი საბუთი ხალხური სიტყვიერები-დან, რომელიც შემოთქმულის სისარგებლოდ დალა-ღებს:

ია ია გშობა შობითა,
ვარღმა გაგზარდა ექვითა.
ნიორიზმა ძუძუ ვაწოვა,
მას ჰქვიჩარ სურსკობითა*.

ამ ხალხურ ლექსში ჩჩელი ბავშვი უმადლე-სად არის შესხმული. ამ ლექსში ჩჩელი საუცხოო შედარებაშია. ყველიშმა გშობა, ყველიშმა ძუძუ-წოვა, ყველიშმა გაგზარდა და სურსკობითაც მას ჰქვიჩარო, აქ ძლიერება სიტყვიერებისა უმადლესო-ბამდეა ასეული.

აქედან გამოდის აუცილებელი დასკვნა: სომ-ხური „იანც“ წარმოდგარა ქართული წყაროსაგან: ძე, შვილი, სკუა=უა, ია=იანც).

გ. ლომთათიძე.

*) იბეჭდება საქამალო წესით. სახტრეველი ამ საგნის შესახებ სხვათაგან გამოთქვან თავისი აზრი.



მუშავ ალღექ!

სიტყვები შაჩხარასი.

ა. ოლანეზაშვილის აღმოსავლეთური ესკიზებიდან op. 3 № 8 1908 წ.

სა სა სა სა
გა გა გა გა
გა გა გა გა გა
გა გა გა გა გა

სა სა სა სა
გა გა გა გა
გა გა გა გა გა
გა გა გა გა გა

სა სა სა სა
გა გა გა გა
გა გა გა გა გა
გა გა გა გა გა

სა სა სა სა
გა გა გა გა
გა გა გა გა გა
გა გა გა გა გა

სა სა სა სა
გა გა გა გა
გა გა გა გა გა
გა გა გა გა გა

საკა დილა გათენდება,
 ლამაზი დღე დაგადგება...
 ბინდი ბნელი მოკშორდება,
 მთა და ბარი გასწორდება.
 დროება მიდის, იცვლება,
 ყირი ლბინად შეიცვლება.

ბოლო მოეღება მძლავრებს,
 თბა-შველი ერთად იცხოვრებს.
 ასეები გაათასდება,—
 შენი შრომა დაფასდება.
 ბატონობა დიმიარბა,—
 ჰაზირაჰე თვალთ ნება!

1905 წ.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.



ზიგლიოგრაფია

რეცენზიები

ფ. მახარაძე.

თხზავლმათა კრებული

ტ. 1 წერილები სხვადასხვა სა-
კითხებზე 394 გვ. 2 მ. 50.

ვისაც მსურს ჩვენი უკანასკნელი 25—30-იან წლების საზოგადოებრივ ყოფი-ცხოვრებას გაეცნოს, განსაკუთრებით მარქსისტულ-სოციალდემოკრატიის თანდათანობითი ჩასახვა-განვითარების და წოდებათა ურთიერთ შეზღა-შემოხლას, სხვადასხვა მიმართულებათა კვილის, ის, სხვათა შორის, ფ. მახარაძისა და ნ. კორდანიას ნაწერებს გვერდს ვერ აუხვევს. როგორც ეს პროფ. ალ. ხახანაშვილმაც შენიშნა.

სახელწიფო გამომცემლობას ვაწუხრზახავს ფ. მახარაძის ნაწერები რამდენიმე ტომად გამოსცეს. გამოვა ტომები: ნაციონალური, აგრარული, სიტყვა-კაზმული მწერლობის, მარქსიზმი დასაბუთება-დავა, ეკონომიური საკითხების და სხ. ამ პირველ ტომში შესულია წერილები 1895—1902 წ., უკანასკნელი (1923 წ.) სამი წერილის დამატებით. აქ ყოველი წერილი მარქსისტული თვალსაზრისითაა გამო-ზნული, მემამოხე სულით გაეღწეილი. ძველის და-მანგრეული, ახალს განაჯრეების რწმენის განმამტკი-ცებელი.

ეს ძველი რევოლიუციონერი პუბლიცისტი ყო-ველ მკითხველს უნერგავს იმ რწმენას, „როს ყოვე-ლივე ძველი ადრე იქნება თუ გვიან უნდა უსათოდ დაირღვეს, დაიქცეს და გამარჯვება მხოლოდ ახალს ეკუთვნის, ამისთვის საზოგადო მოღვაწეთ კმარებით სულის სიძლიერე და ხასიათის სიმტკიცე, რომ პირველმა დაბრკოლებამ უკან არ დაახევოს... გზის გაკავება ძლიერ სამძიმო საქმეა და აქ დროებითი დამარცხება დამარცხებად არ ჩაითვლება“ (346 გვ.).

წვენი შიმკულია ავტორის სამი სურათით (20 წ. წინანდელი, აწინდელი და განდარითა სამმართვე-ლოში, ტყეუობის).

სხვათა შორის, საქართველოს სახალხო საზო-გადოებრივ-განებრივ მოძრაობის ისტორიის შესწა-ვისათვის ეს წიგნი აუცილებელი წყაროა.

ბ. არმიათელი.

„წითელი წიგნების“ გამოცემანი: 1) ტრ. თბუქაშვილის „განთიადი“, 1 წიგ. 174 გვ. 1 მან. 2) თორმეტი სკვითები, პოემა ალ. ბლოკის, თარგ. ვალ. გაფრინდაშვილის, 32 გვ 40 კაპ. 3) სტოიქ-ის—სწავლა რ. ს. ფ. ს. რ.—ის სახელწიფოსა და კონსტიტუციასზე, 365 გვ. 3 მან 4; 4) ნ. ლენინი (1870—1924) 145 გვ. 50 კ. 5) ე. ველოამ მ. ბიარუნის კომუნისზმი და ქრისტიანობა 109 გვ. 1 მ. 10 კ.

კერძო გამოცემანი: 1) ლეო ქიქელი—I ტ. მოთხრობები, ნოველები, ესკიზები, 151 გვ 1 მ. 25 კ. 2) მისივე—ნატახბარის საიდუმლო, სურა-თებთი, საბავშო მოთხრობა. 43 გვ. 70 კ.; 3) რაჯ-ლენ გვგვამე—ვირებთს მესია (ლექსების ტომი), 93 გვ. ერთი მანეთი, 4 მ. ჯავახიშვილი—დამა-შვილი, მოთხრობები, ტომი 1, ივ. გომართლის კრძტ. წერილით, აკ. ცხანიშვილისა და ივ. ვარაზ-შვილის გამოცემა, 230 გვ. 1 მ. 50 კ.; 5) შალვა ჯანებრიძე, პოეზია ლექსები, 73 გვ.

ბფილისის სახელმწიფო აკადემიური დასი და-სავლეთ საქართველოში გაემგზავრა მისში.

დამსე შემოიარა ქალაქები: ქუთაისი, ბათომე, ფოთი და ჭიათურა.

ქართული დასის ასეთი მოგზაურობა პირტე-ლია: საკუთარი დეკორაციები, ბუტაკურია, სასა-რიქმახელო, სრული ანსამბლი, უბრალი თანამშრო-მელი—სტატუსტიკი—თან ახლდა დას. დასში იმ-ყოფეობა ი2 კაცი, ვარდა ტენნიკურ პერსონალისა.

ტრეპერტურატი პროვინციისათვის სრულიად ახალი: „ცხვის წყარო“, „ინტერესთა თამაში“, „ვაახნაურებელი მდამიო“, „მასა“ და „გმირი“.

ზოგან (მაგ. ქუთაისში) ზოგიერთი პიესები მეორდებდა. დასს ხალხი ყველა ქალაქში გულთბი-ლიად შეეგება.

წარმოდგენებს ზღვა ხალხი აწყდებოდა. წაართვაში წარმოდგენებს ესწრებოდნენ მეტ-წილად ქართველი. ასევე იყო ფოთშიაც, სადაც მუშე-ბისათვის საგანგებოდ განმეორებულ იქნა „ადამიანი მისსა“.

ამ მოგზაურობამ, სხვათა შორის, ნათელ ჰყო, რომ ჩვენი პროვინცია არაფრით ჩამორჩება დღეა-ქალაქს თეატრალური მოთხოვნილებით.

ყველან დიდი სურვილი და მოთხოვნა თეა-ტრისა: აგებენ თეატრებს, აწყობენ და ჰქნნან სცე-ნის მოღვაწეთა წრეებს, იძენენ ახალ პიესებს და სხ.

დღევანდელი ხელისუფლება და კერძოთ ვინც დღეს სათავეში უდგას ხელოვნების საქმეს, მოგა-ლიერე განსაკუთრებულს გულის ყურით მოგეყროს ამ იშვიათ მოვლენას.

X

სამტრედიის თეატრის შენობის ნაწილი, მო-გესხნებთა, ვასული წლის ქარმა გადაანგრია და ხალხს წარმოდგენების ხილვის საშუალება მოცსმო მაგრამ ამან გული არ გავციტება: ადგილობრივ პარტ-კომისა და აღმასკომის სასახლოთ უნდა ითქვას, რომ წელს დიდი ნამიერე გადადგეს წინ,—მათის წვევრბის სპ. კოქაჩიშვილის, ილია სტურუის და არ. ხუჭუტას თაისნობით ა. წ. აღდგომა დლით დან-გრეულს იქნა ნიკოლოზის დროს აგებული ციხე, რომლის მასალით გადაწყვიტილია თეატრის აგე-ბა. სათეატრო შენობის გეგმა მზადაა დარბახი დაიტყეს 700 კაცამდე პროფეს. პ. მ. მიდინის ამა-სა მაისურაოვის მბურავლე მუშაკითა შესდგა დრა-მატიული წრე (განგებობაში—აკ. სამართავ, ანტ. მა-მაგევიშვილი და ბაბურა ნინიძე). რეისორად მოწ-ვეულია ზ. ურუშაძე. პიესები მზადდება და მოკლე ხანში დაიწყება წარმოდგენები განახლებულ თეატრ-ში განახლებულ დასით. სამწუხაროდ ზოგიერთი ძველი დასახეობადი სცენის მოყვარე (მაგ. ტიტე მსინარულიძე, მმა-გიორგი სს—ძისა) ვანზე სტადანა. ასეთი დაქსაქსულობა ზარალს მეტს არას მოგვეცეს საქიროა საერთო ძალღონით მუშაობა ხალხის სა-კეთილდღეოდ.



გორის სახალხო სახლში. კვირას, 18 მაისს, გაიმართა საღამო წარმოდგენა-კონცერტი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციის სასარგებლოდ. ამ საღამოსთვის ტუდლისიდან ჩამოვიდნენ თვით რედაქტორი ამ ჟურნალისა იოსებ იმედაშვილი და ოპერის ბრტისტი ე. ქაშაყაშვილი. დარბაზი სავსეა საზოგადოებით. საღამოს დაწყებისას იოსებ იმედაშვილმა ვრცელი სიტყვა (მოხსენება) წარმოსთქვა თეატრის შესახებ, მის წარსულს. აწმყოსა და მომავალზე. მან ცოცხალი ქართული სიტყვით გადასცა გორის საზოგადოებას სათეატრო ხელოვნების თანდათან ზრდა უძველესი დროიდან დღემდე მისი მნიშვნელობა, დანიშნულება, ქართული თეატრის გარშემო დღეს ატეხილი განგაში, აღნიშნა საერთოდ ხელოვნების და კერძოდ ქართული თეატრის დამსახურება ქვეყნის წინსვლის საქმეში, საჭიროთ აღიარა დაარსება სახალხო სასოფლო თეატრების, შექმნა მოძრაი თეატრის და სხ.

გორის საზოგადოებამ სათეატრო საქმეში ახალ მიდრეკილების მსვლელობა-ვანეითარებაზე მართო გაზეთით თუ იცოდა—რამე, ისიც თითო-ორიოლმა, დღეს—კი მათ ეს ცოცხალი სიტყვით ნათლად წორმოიდგინეს. მომხსენებელი ხან-

გრძლივი ტაზით დააჯილდოვეს. აუცილებლად საჭიროა ასეთი მოხსენება ყველგან გაიმართოს, სიტყვის შემდეგ წარმოდგენილი იქნა პიესა „სიმართლე“. ასრულებდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი, რეჟისორი ალ. ჯაყელის ხელმძღვანელობით, მონაწილეობდნენ: ა. ჯაყელი; შ. კორინთელი ტ. ცინცაძე, მ. გარაყული, გრაქუროვი ვეზირიშვილი, და მაჰავარიანი. პიესამ შესაფერად ჩაიარა.

ამის შემდეგ მომერალმა ვალ. ქაშაყაშვილმა შეასრულა ოპ. „ოქმ. შოთა რუსთაველიდან არაბის არია“, „გენაცვალე“ და სხვა რომანსები.

აღნიშნულმა საღამომ საუკებოდ ჩაიარა, რაც უშთავრესად მიეწერება იოსებ იმედაშვილის მიერ წაკითხულ ლექციას და ქაშაყაშვილის სიმღერებს.

ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წრე და საქმის შესვეურნი დიდი მაძლობის ღირსი არიან ასეთ საღამოს მოწყობისათვის.

შ. ლიახველი

შუ წინა ნომერში (11) მაძლობა გორელებს შუ სრულად შემოხვევით გამოკრანენ. 1) ალექ. განჩილაძე და 2) შალ. კორინთელი, რომელთაც საღამოში მჭურვალე მონაწილეობა მიიღეს, რასთვისაც დღის მაძლობას ვუძღვებით.

რვა.

ფოტოგრაფია

ავსიხი შვანიასი

გადავიდა ახალ ბინაზე—რუსთაველის პრ. № 8, მუშათა სასახლის პირდაპირ. ასრულებს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს: იღებს პიროვნულ, ჯგუფობრივ, შენობათა და სხვ. სურათებს, აღიღებს პორტრეტებს ფერადებით და სხვ.

შეკვეთებს ასრულებს რიგზე, ხელმოწერად.

სურათების გადაღება დღის 9 ს.—საღ. 6 ს.

აქვე მთი ოკება რეკლამიუციის ბეჭელების

სურათები

4—5 ლ.

„თეატრი და ცხოვრება“-ს

რედაქცია მოთავსებულია სასახლის ქ. № 5, მეორე სართულში,—ახალი კლუბის შესავალიდან მარცხენა მხარეს (ყოფ. ქართ. თეატრი). ღიაა: დღით 9 ს., ნაშუადღევს 5—8 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება დღით 10—2 ს. აქვე მიიღება ხელისმოწერა 1924 წ. ჟურ.

„თეატრი და ცხოვრება“-ზე

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით 6 მან. (გაგზავნით).

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.